



**მუახევის მუნიციპალიტეტის
საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი
(2024-2027)**

სარჩევი

შესავალი	1
ლოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები	1
ლოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან	2
1. სიტუაციის ანალიზი.....	3
1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა 3	
1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა	14
1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა	25
1.3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა	27
1.4. განათლება, კულტურა და სპორტი.....	31
1.5. გარემოს დაცვა.....	35
1.6. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა	37
SWOT ანალიზი	40
2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები	42
2.1. მუნიციპალიტეტის ხედვა	42
2.2. მიზნები და ამოცანები	42
2.3. ლოგიკური ჩარჩო	1
3. დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება	1
3.1. დოკუმენტის განხორციელება.....	1
3.2. მონიტორინგი და შეფასება.....	1
4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.....	3
5. სამოქმედო გეგმა.....	3
დანართები.....	4

შესავალი

შუახვევის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ასახავს პრიორიტეტულ მიმართულებებსა და გეგმებს, რომელიც არსებული სიტუაციის ანალიზს, რესურსულ შესაძლებლობებს ეფუძნება და მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და გაუმჯობესებული ინკლიზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობის დანერგვისკენ.

შუახვევის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარე: მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, მერის სამოქალაქო და ახლგაზრდულ მრჩეველთა საბჭოები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები და სხვ.

სამუშაო შეხვედრებზე ერთობლივი მსჯელობის შედეგად შემუშავდა მუნიციპალიტეტის SWOT ანალიზი, რამაც გამოკვეთა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღნიშნულის შედეგად, განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიზნები და შესაბამისი ამოცანები.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირი და მოსაზრებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შემუშავებული სტრატეგიის განხორციელებას უზრუნველყოფენ მერიის სტრუქტურული ერთეულები და მმართველობის სფეროში შემავალი სხვა დაწესებულებები.

დოკუმენტი მომზადდა შუახვევის მუნიციპალიტეტის მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში (DGG)“ პროექტის თანამშრომლობის ფარგლებში, საკონსულტაციო კომპანია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის დახმარებით. აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია დანიის მთავრობის მიერ.

დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

შუახვევის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, ასევე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს.

ამავე კოდექსის თანახმად, მერი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასა და განხორციელებას. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი სტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა, ასევე ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიაში.

შუახვევის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ასევე წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის №264 განკარგულების („მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს; 2022 წლის 15 თებერვალი) საფუძველზე. დოკუმენტი ასევე, პასუხობს გაცემის მდგრადი განვითარების მიზნებს (SDG).

შუახვევის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი მოამზადა შუახვევის მერის 2023 წლის 17 მარტის ბრძანებით (ბრძანება: ბ100. 100230762) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას, ასევე, გათვალისწინებული იყო შუახვევის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული ფისკალური ჩარჩო.

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მისი კომპეტენციები გამიჯნულია ცენტრალური ხელისუფლებისგან, თუმცა სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, საკუთარი პოლიტიკის დაგეგმვისას, მათ შორის, მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენისას, გასათვალისწინებელია ჰარმონიზაცია ეროვნული, სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიული ან სამოქმედო სახის დოკუმენტებთან.

დოკუმენტის შედგენის პროცესში განხილულ და გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფოში მოქმედი შემდეგი პოლიტიკის დოკუმენტები:

- სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 – „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულება „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილება;
- 2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია;
- საქართველოს შრომისა და დასახლების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია;
- საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგია;
- ნარჩენების მართვის 2016 - 2030 წლების ეროვნული სტრატეგია.

1. სიტუაციის ანალიზი

1.1. მუნიციპალიტეტის ძირითადი სოციალური და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

1.1.1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

შუახევის მუნიციპალიტეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტია, რომელიც 1965 წლიდან მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი რაიონი.

მუნიციპალიტეტის ფართობი 588 კვ.მ-ია, საზღვრების საერთო სიგრძე დაახლოებით 195 კილომეტრი. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (6,3 კმ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (2,5 კმ), სამხრეთით - თურქეთის რესპუბლიკა (46კმ), აღმოსავლეთით - ხულოს მუნიციპალიტეტი (78კმ), დასავლეთით - ქედის (31,5 კმ) და ქობულეთის მუნიციპალიტეტები (29,5 კმ).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა შუახევი (1,0 ათასი მცხოვრები, დაბის სტატუსი - 1974 წლიდან). შუახევის მუნიციპალიტეტში 1 დაბა და 54 სოფელია.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი საშუალო სიმაღლის მთებს უჭირავს. მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ გადის 500 მ სიმაღლის იზოჰიფსი. სამხრეთ ნახევარი უჭირავს შავშეთის ქედსა და მის ჩრდილოეთ განტოტებებს, ხოლო ჩრდილოეთით ნახევარი აჭარა-გურიის სამხრეთ განტოტებებს.

რელიეფი დანაწევრებულია მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ეროზიული ხეობებით. ფერდობებზე გვხვდება სხვადასხვა ასაკის ტერასების ფრაგმენტები. რელიეფი აგებულია შუაეოცენური ანდეზიტებითა და ჰიდროკლასტოლითებით, ვულკანოგენური ფაციესის შრებრივი ტუფ-ბრექჩებით, ტუფ-ქვიშაქვებითა და არგილიტებით. არის შუა და ზედაეოცენური სიენიტ-დიორიტები.

საშუალო წლიური ტემპერატურა მუნიციპალიტეტში 9,11⁰C-ის ტოლია. ნალექების რაოდენობა წლიურად 1050-1800 მმ-ს აღწევს. ჰავა შედარებით ნაკლები სინესტიტ გამოირჩევა, მუნიციპალიტეტის გასწვრივ არის ხმელთაშუა ზღვის ტიპის სუბტროპიკული ჰავა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარე აჭარისწყლის შუა მონაკვეთი. მას მარჯვნიდან ერთვის ჭვანისწყალი, მარცხნიდან - ჩირუხისწყალი. მდინარეები შერეული საზრდოობისაა.

მცენარეთა საფარში გამოხატულია სიმაღლებრივი ზონალობა. აქ, მთების ქვედა სარტყელის ტყეებში, ჭარბობს წაბლი, წიფელი, ფიჭვი, რცხილა და მუნა, ზემოთ მას ნაძვნარ-სოჭნარი ცვლის. მუნიციპალიტეტის ტყის ზონის ზემოთ გავრცელებულია სუბალპური და ალპური ბალახეული.

ფაუნის ნაწილში ძირითადად გვხვდება გარეული ღორი, მურა დათვი, ევროპული შველი, მგელი, ტურა, მელა, მწვანე ხვლიკი, გველი ანკარა. ასევე მრავალფეროვანია ფრინველთა სამყაროც. მდინარეებში უხვად არის თევზი: კალმახი, წვერა, ღორჯო და სხვ.

1.1.2. წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები

სასარგებლო წიაღისეული

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს სხვადასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის საბადოები. ესენია: საბადოები ფერადი ლითონების წარმოებისათვის, ნედლეული სამშენებლო ინდუსტრიის, კერამიკის წარმოების, სანაკეთობო და საიუველირო წარმოებებისათვის. შუახევის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებიდან და მადანგამოვლინებებიდან აღსანიშნავია მერისის კვანძის სახელით ცნობილი მადანგამოვლინება, რომელიც აერთიანებს ხუთ მადნიან ველს. აქედან 2 - ღომა წაბლანის და უჩამბის ველები მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტში. ამ კვანძებში, უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული კვლევებით, ოქროს შემცველია არამარტო მადნიანი ძარღვები და ზონები, არამედ მადანშემცველი ქანებიც. ამ ქანებში ოქროს შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატება სამრეწველოს და აღწევს 10-70 გ/ტ. აქვე აღსანიშნავია იშვიათი ელემენტების შემცველობაც:

კალიუმი 700 გ/ტონაში, ვერცხლი 100გ/ტ, მოლიბდენი 0.1% და გალიუმი 30 გ/ტ. ამ მონაცემებით, მერისის კვანძის საბადოები და მაშასადამე, მისი ორი ველი შუახევის მუნიციპალიტეტში წარმოადგენენ კომპლექსურს, რაც თავისმხრივ ზრდის მათ სამრეწველო პერსპექტიულობას.

მნიშვნელოვანია კირის მარაგები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მშენებლობაში. მისი გამოყენებით წარმოება 2,5-ჯერ ენერგოტევადი და ეკონომიურია და მას მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იყენებენ. კირის ნედლეული გვხვდება ჩირუხისწყლის ხეობაში, სოფელ დარჩიძეებთან.

აღსანიშნავია ბრილის სააგურე-კერამიკული თიხის საბადო. ნედლეულის მარაგები განსაზღვრულია ჩ1+ჩ2 კატეგორიით და შეადგენს 1,02 მლნ. მ3-ს. აღსანიშნავია ქანივრის გაბროს საბადო, რომელიც მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს მოსაპირკეთებელი ფილების წარმოებისთვის.

ცხრილი 1. საბადოები არალითონები

რესურსის დასახელება	ობიექტი	მარაგების განზ. ერთეული	a_b_c 1	c2	p1_p2_p 3	სამრეწველო ტიპი
ანდეზიტ-დაციტი	სანალია	მ ³	0	55100	0	მოსაპირკეთებელი ქვა
გაბრო	ქანივრი	მ ³	0	0	0	მოსაპირკეთებელი ქვა
სააგურე თიხა	ბრილი	მ ³	48030	54070	0	სააგურე თიხა
			0	0		

წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

ჰიდროენერგეტიკული რესურსები

შუახევის მუნიციპალიტეტს, ისევე როგორც მთლიანად აჭარას, დიდი ჰიდროენერგეტიკული რესურსები გააჩნია. 187 მგვტ სიმძლავრის **შუახევიჰესი** კომერციულ ოპერირებაში 2020 წლის თებერვალში შევიდა. შუახევი ჰესის ჯამური ინვესტიცია 510 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს და ფინანსდება ისეთი მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა: საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ნორვეგიული კომპანია „ელინ ენერჯი ინვესტი“ და ინდური კომპანია „ტატა ფაუერი“. შუახევის ჰესების კასკადი, ჯამურად გამოიმუშავებს 450 მილიონ კვტ/სთ ელექტროენერგიას, რითაც შემცირდება სასათბურე აირის გამოფრქვევა გარემოში 200 ათასი ტონით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულებას კლიმატის ცვლილების შემცირების შესახებ.

გოგინაურის ჰესი

შუახევის მუნიციპალიტეტში გოგინაური ჰესის პროექტის განხორციელება, ჰიდროტექნიკური ნაგებობა მოეწყო მდინარე მოდულისწყალზე, რომელიც სათავეს შავშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე იღებს (2700 მ-ზე ზ.დ.), ხევას მთის ჩრდილო-დასავლეთით და მდ. ჩირუხისწყალს მარცხნივ. ჰესის სათავე წყალმიმღები კვანძის და მცირე ზომის შეგუბების მოსაწყობად შერჩეულია მდინარის კვეთი ზღვის დონიდან დაახლოებით 950 მ ნიშნულზე.

მდინარე მოდულისწყალზე 4,72 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (გოგინაური ჰესი) მშენებლობა დაიწყო 2019 წლის მარტში, პროექტი და მშენებლობა განხორციელდა შპს „ალტერ ენერჯი“-ის მიერ. სამშენებლო გრაფიკის მიხედვით მშენებლობის პერიოდი გაგრძელდება 16 თვე. თუმცა ინტენსიური სამშენებლო სამუშაოების მიახლოებითი ვადა არის 15 თვე. დღიური განრიგი: 08:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე. დასაქმებულთა რაოდენობა 50 ადამიანი იყო, რომლის დაახლოებით 70% ადგილობრივი მაცხოვრებელი განხლდათ.

ჰესი ელექტროენერგიას გამოიმუშავებს სათავე ნაგებობასა და ჰესის შენობას შორის შექმნილი სიმაღლეთა სხვაობის (დაწნევის) გამოყენებით. გამოიმუშავებული ელექტროენერგია ჩართულია სახელმწიფო ელექტროსისტემაში.

სანალია ჰესი

შპს სანალია ჰესის მშენებლობა 1994 წელს დაიწყო, რომელიც სრულიად დასრულდა და გაიშვა 1998 წელს. არსებული ჰიდროელექტროსადგური მდებარეობს სოფელ მახალაკიძეებში, ჰესის დადგმული სიმძლავრე არის 4.2 მეგავატამდე. ჰესის ოპერირების პროცესში ჩართულია 15-17 ადამიანი, რომელთა 80% ადგილობრივი მოსახლეა.

სანალია ჰესი ფუნქციონირებს ბუნებრივ ჩამონადენზე, ჰესის წყალმომარაგების წყაროებია მდინარე ჩირუხისწყალი და მდინარე სანალია. ჰესი ჩართულია საქართველოს ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში და გამოიმუშავებს წლიურად დაახლოებით 8-10 მილიონ კილოვატ საათს. ჰესის მშენებლობა განხორციელდა სახელმწიფოს ბიუჯეტის მიერ.

წყლის რესურსები

მუნიციპალიტეტში უხვადაა სამკურნალო და მინერალური წყლები: შუახევის, მამბალეთის, ლამაზმარეს, ბათალვაკის, გუდნის, ბოგილის, ტყემალთის, უჩამბის, ბუთურაულის, ჩანჩხალის, მარეთის და სხვ. სოფელ ტომაშეთის მიდამოები ცნობილია გოგირდწყალბადიანი თერმული წყლებით, რომელთა ტემპერატურა 30°C–ს აღწევს.

მინერალური და თერმული წყლების ფორმირება დაკავშირებულია ზედაპირული წყლების ღრმად ჩაჟონვასთან ტექნიკური რღვევის ზონებში. სიღრმეში ეს წყლები ცხელდება და მათი ნაწილი ხელშემწყობ გეოლოგიურ ზონებში ზედაპირზე ამოდის. როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, შუახევის მუნიციპალიტეტში მინერალური და თერმული წყლები საკმაო რაოდენობისაა, რომელთა დებეტი მათი საწარმოო დანიშნულებით გამოყენების საშუალებას იძლევა.

ცხრილი 2. ლიცენზირებული წყალი


რესურსი	ობიექტის დასახელება	ლიც. #	მომპოვებელი	ლიც. გაც. თარიღი	ლიც. ვალა	ლიც. დასრულ. თარიღი	მარაგები	მარაგების განზ. ერთ	სამრეწველო დანიშნულება
მიწისქვეშა მტკნარი წყალი	შუახევი	148	შპს აჭარისწყალი ჯო	14.09.2021	5	14.09.2026	1500	მ ³ /წ	სამეწარმეო (სხვა)
მიწისქვეშა მტკნარი წყალი	შუახევის მიწისქვეშა წყალი	510	შპს „აჭარისწყალი ჯ“	15.02.2023	5	15.02.2028	80000	მ ³ /წ	სამეწარმეო (სხვა)
მიწისქვეშა მტკნარი წყალი	სოფელი ქიძინიძეები	523	შპს „ნანო 5“	24.04.2023	10	24.04.2033	912,5	მ ³ /წ	ჩამოსასხმელი
მიწისქვეშა მტკნარი წყალი	ქიძინიძეების გამოვლინება	100610	შპს მარეთი XXI	10.08.2009	25	10.08.2034	25,9	მ ³ /დღ.დ	ჩამოსასხმელი

წყარო: მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

1.1.3. დემოგრაფია

მოსახლეობის რაოდენობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 14,8 ათას ადამიანს შეადგენს, საიდანაც 52% მამაკაცია, ხოლო 48% - ქალი¹. მოსახლეობის საშუალო ასაკი კაცების შემთხვევაში 33 წელია, ქალების შემთხვევაში კი - 38 წელი. ბოლო 10 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის, თუმცა შემცირების ტენდენციას მიგრაციის პროცესების გააქტიურებამ შეუწყო ხელი.


დიაგრამა 1



წყარო: საქსტატი

მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1კმ²-ზე 25,1 კაცია.

დიაგრამა 2




წყარო: საქსტატი

ასაკობრივ ჯგუფებს შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი 20-დან 24 წლის მოსახლეობაზე მოდის. მაღალია ასევე 15-19 წლის ხვედრითი წილი.

¹ მოსახლეობის რიცხოვნობა წარმოდგენილია საშუალო წლიური მაჩვენებლით; ასევე საქსტატის ყველა მონაცემი წარმოდგენილია საშუალო წლიური მაჩვენებლით.


დიაგრამა 3



წყარო: საქსტატი


ბოლო ათწლეულის განმავლობაში შობადობის მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა შეიმჩნევა კლების ტენდენცია. აღნიშნული მონაცემი 2010-2019 წლებთან შედარებით საგრძობლად შემცირებულია, თუმცა მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტების საერთო სურათისგან ღიდად არ განსხვავდება.

დიაგრამა 4



წყარი: საქსტატი


დიაგრამა 5



წყარი: საქსტატი

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საშუალო ასაკი 37,1 წელია, საქართველოს მოსახლეობის საშუალო ასაკი - 38,1 წელი.


დიაგრამა 6



წყარი: საქსტატი

მუახევის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 5 ნოემბრის მონაცემებით 1727 შიდა მიგრანტი იყო, ყველაზე მეტი თავად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებიდან მიგრირებული.


დიაგრამა 7



წყარო: საქსტატი

პენსიის მიმღებთა რაოდენობა მოცემული დროის მონაკვეთში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით პენსიონერთა საერთო რაოდენობის 5%-ია.

დიაგრამა 8




წყარო: საქსტატი

1.1.4. მუნიციპალიტეტის შრომითი რესურსები

მუნიციპალიტეტში დასაქმება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მოსახლეობის დიდი წილი თვითდასაქმებულია. შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი კაცებში - 80,5%-ს, ხოლო ქალებში 83,1 %-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში სამუშაო ძალის, უმუშევრობის და დასაქმების დონის მაჩვენებლების ანალიზის და შესაბამისი დაშვების მიზნით, გამოყენებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები რეგიონალურ ჭრილში. კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზდა შემდეგი მაჩვენებლები, როგორცაა: რეგიონის მოსახლეობა და 15+ ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, სამუშაო ძალა, დასაქმებული და უმუშევარი რეგიონში. აღნიშნულის საფუძველზე გაკეთდა დაშვება, თუ როგორია მუნიციპალიტეტის წილი აღნიშნულ მაჩვენებლებში. ძირითადი შეფასება ეფუძნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობას და მის წილს რეგიონის ჭრილში.


დიაგრამა 9



წყარო: საქსტატი

2019 წლის მონაცემებით, აჭარაში დასაქმებულია 158,1 ათასი კაცი, აქედან ბიზნეს სექტორში დასაქმებულია 74,8 ათასი, ანუ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა წილი 58,4%-ს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელს 5 ერთეულით აღემატება. დასაქმებულთა განაწილება აჭარის მუნიციპალიტეტების მიხედვით გვიჩვენებს, რომ ბათუმის, ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმების დონე საკმაოდ მაღალია, ვიდრე მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, რაც აჭარაში აქტიური ურბანიზაციის შედეგია.

დიაგრამა 10




წყარო: საქსტატი

ქვეყნის მასშტაბით დასაქმება ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და სექსის მიხედვით იძლევა ზოგად სურათს, თუ რომელი დარგებშია დასაქმების უფრო მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნული

მონაცემები არ არსებობს რეგიონის და მით უფრო მუნიციპალიტეტის მასშტაბით და შესაბამისად, ქვეყნის სტატისტიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ამ მაჩვენებლის მუნიციპალიტეტზე განზოგადება. ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმებულია სოფლის მეურნეობის სფეროში 229 ათასი, აქედან ქალი - 84 ათასი, ხოლო კაცი - 145 ათასი. აღსანიშნავია, რომ ქალების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი არის განათლების სფეროში, ხოლო კაცების დასაქმები მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სფეროში.

დიაგრამა 11




წყარო: საქსტატი

მუნიციპალიტეტში აღურიცხავია შრომითი მიგრანტების რაოდენობა. შრომითი მიგრაცია ძირითადად ხდება ქალაქის მიმართულებით და სეზონურად თურქეთის და ევროპის სხვადასხვა წამყვან ქვეყნებში. მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს ასევე ხელი შეუწყო გეოლოგიურმა პროცესებმა, მეწყერებმა და სხვადასხვა სახის სტიქიურმა უბედურებებმა.

მუნიციპალიტეტის შინამეურნეობების შემოსავლების სტატისტიკა ცნობილი არ არის, ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილია აჭარის რეგიონის მონაცემები.


დიაგრამა 12



წყარო: საქსტატი

შუახევში ძირითადი დამსაქმებელი საჯარო სექტორია. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 3 456 ადამიანს. ხოლო სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულია 475 ადამიანი.

დიაგრამა 13




წყარი: საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლები ძირითადად 49% დაქირავებულ შრომაზე მოდის, 18% კი - პენსიაზე, სტიპენდიებსა და დახმარებებზე მოდის.

რეგიონის მოსახლეობის ხარჯებში ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო ხარჯებს უჭირავს.


დიაგრამა 14



წყარო: საქსტატი

მთელი რეგიონის მოსახლეობის სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 39% სურსათზე, სასმელსა და თამბაქოს ნაწარმზე მოდის, 10,9% ჯანმრთელობის დაცვაზე, ხოლო 3,2% კი - განათლებაზე. ერთი შინა მეურნეობის საშუალო თვიური ხარჯი სურსათზე 403,4 ლარია.

დიაგრამა 15



წყარო: საქსტატი

1.2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

1.2.1. მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა


მუნიციპალიტეტში სუსტად არის განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესი. რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ (მოსახლეობის 1000 კაცზე) 2022 წელს 127,3 შეადგინდა, ხოლო 2021 წელს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებამ 22,5 მლნ ლარი. 2023 წლისთვის მოქმედა 227 ბიზნეს სუბიექტი.

ცხრილი 3. რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა შუახევის მუნიციპალიტეტში (მოსახლეობის კაცზე)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა	39,8	45,4	50,6	59,0	66,3	72,1	77,2	83,9	91,0	101,0	108,1	117,4	127,3

მუნიციპალიტეტში 170 ინდ.მეწარმეა, ხოლო 45 - შპს.

დიაგრამა 16




წყარო: საქსტატი

მოქმედ 227 ბიზნეს სუბიექტს შორის საშუალო ზომის საწარმო არის 4, ხოლო მცირე საწარმო - 223.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს კერძო მინი საწარმოები: ბეტონის გადამამუშავებელი მინი ქარხანა, ხის საამქროები, თიხის სახელოსნო „ბრილი-არტი“, ჰურის საცხობი, შპს „კავკასუს ინვესტი“ რთული მეტალო კონსტრუქციების დამზადება და სხვ.


დიაგრამა 17



წყარო: საქსტატი

ამასთან, შემცირებულია შუახევის ბიზნეს სექტორის გამოშვების მაჩვენებელი ლარებში, 2021 წლისთვის 23 მლნ. ლარია, ამასთან შემცირებულია წილი აჭარის რეგიონში ბიზნეს სექტორის გამოშვებაში.


დიაგრამა 18



წყარო: საქსტატი

რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა საქმიანობის ეკონომიკური სახეებიდან ყველაზე მეტი წილი უცნობ ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება, რომლის შემდეგაც მოდის საბითუმო და საცალო ვაჭრობა, მშენებლობა, ტრანსპორტი/დასაწყობება და სხვ.

დიაგრამა 19



წყარო: საქსტატი

ცხრილი 3. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

	2014	2015	2016	2017	2018	2019
აჭარა	54 655	57 555	66 597	70 087	70 292	74 804
ქ. ბათუმი	45 742	47 078	54 637	58 153	58 591	62 449
ქედის მუნიციპალიტეტი	292	494	561	705	873	909
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	4 484	5 221	5 785	7 088	6 929	6 956
შუახვევის მუნიციპალიტეტი	772	1 634	1 804	621	537	955
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2 717	2 777	3 387	2 971	2 687	2 719
ხულოს მუნიციპალიტეტი	648	350	424	549		

წყარო: საქსტატი


მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა მონაცემები გენდერულ ჭრილში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით არ არის, ამიტომ სამუშაო ჯგუფის მიერ გაანალიზდა რეგიონულ ჭრილში მაჩვენებლები და მის საფუძველზე გაკეთდა დაშვება, თუ როგორია მუნიციპალიტეტის წილი აღნიშნულ მაჩვენებლებში. ძირითადი შეფასება ეფუძნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობას და მის წილს რეგიონის ჭრილში.

ცხრილი 4

	ქალი	კაცი	სულ
აჭარა	31 157	41 816	72 973
მსხვილი	8 275	6 690	14 965
სამუალო	6 162	7 795	13 958
მცირე	16 720	27 331	44 051

წყარო: საქსტატი


დიაგრამა 20



წყარო: სამუშაო ადგილის შეფასება

შუახვევის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი 2021 წელს წინა წლებთან შედარებით შემცირდა.


დიაგრამა 21



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წინა წლებთან შედარებით გაზრდილია შრომის საშუალო ანაზღაურება.


დიაგრამა 22



წყარო: საქსტატი

შუახვევის მუნიციპალიტეტში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2021 წელს 6,9 მილიონი ლარია, რაც რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების 0,3%-ია. 2019 და 2020 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული.


დიაგრამა 23



წყარო: საქსტატი

შუახვევის მუნიციპალიტეტში 2021 წლის 2019 და 2020 წელთან შედარებით შრომითი დანახარჯები გაზრდილია, თუმცა შემცირებულია წილი რეგიონის შრომით დანახარჯებში და 0,2%-ს შეადგენს.


დიაგრამა 24



წყარო: საქსტატი

ბოლო წლების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ინვესტიციების რაოდენობა თითქმის არ არის ფიქსირებულ აქტივებში, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნეს სექტორის მზარდ და დინამიურ განვითარებას.

დიაგრამა 25



წყარო: საქსტატი

1.2.2. ტურიზმი

ტურიზმის განვითარება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციებზე და ტურისტული პროდუქტების შექმნაზე.

ზღვის დონიდან 2000 მეტრზე, ჯვარიმინდორის საპიკნიკე ზონა მოეწყო, რომელიც აჭარაში ყველაზე გრძელ (88 კმ), ქობულეთი-შუახვევის დამაკავშირებელ, სალაშქრო-სათავგადასავლო ტურისტულ მარშრუტზე მდებარეობს. მოგზაურებისთვის ტურისტული თავშესაფრები, ფანჩატური, საქანელები, საცეცხლური, ფოტოსტენდი და ჰამაკებია განთავსებული, რაც

მოლაშქრეებს საშუალებას მისცემს ღია სივრცეში, ავთენტურ გარემოში დაისვენონ და ულამაზესი პანორამული ხედებით დატკბნენ.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ტურისტული პროექტების განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ზღვის დონიდან 2,148 მ სიმაღლეზე, მთა ჩირუხში, მოეწყო საპიკნიკე ინფრასტრუქტურა თავისი ჰამაკებით, საქანელებითა და ფანჩატურით. მსგავსი ინფრასტრუქტურა მოეწყო ასევე კობალთისა და კვესაურას მთებზეც. მსგავსი სივრცე მოეწყობა მთა ღომაზეც.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა ტურისტულ პროექტებზე, რომელიც შუახევს მაღალმთიანი აჭარის მიზიდულობის ცენტრად აქცევს. მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტია ევროპაში ყველაზე გრძელი, ორზოლიანი ზიპლაინის მოწყობა ჩირუხის მთაში. ზიპლაინის ზედა სადგური ჩირუხის იალაღებზე, ზღვის დონიდან 2400 მეტრზე, ხოლო ქვედა სადგური 2060 მეტრზე განთავსდება. არწივის ფორმის 10-მეტრიანი ზედა სადგურიდან ზიპლაინით დაშვების გარდა, ვიზიტორებს ჩირუხის ულამაზესი პანორამული ხედების ნახვის საშუალება ექნებათ. ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყობა ზიპლაინის ქვედა სადგურთან, სადაც მოსასვენებელი სივრცეებისა და კვების ობიექტის განთავსება იგეგმება.

შემუშავებულია ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების კონცეფცია, რომელიც ჭვანის ხეობის ტურისტული განვითარების გეგმას, ტერიტორიის განვითარების დეტალურ კონცეფციასა და ტერიტორიის სივრცითი განვითარების გენერალურ გეგმას მოიცავს. განვითარების გეგმაში ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდის მიმდებარე ტერიტორია, საიდანაც ძირითადი ტურისტული ბილიკი და ინფრასტრუქტურა წისქვილების სოფლამდე უნდა მოეწყოს. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ოთოლთას ციხეს.

მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობილია რამდენიმე რეკრეაციული ზონა. კერძოდ: 9 აპრილის ხეივანი, ნაჭივრის ხიდი, ზამლეთის საპიკნიკე ზონა და სხვა. სარეკრეაციო ადგილები უზრუნველყოფილია ფანჩატურებით, სველი წერტილით, სანაგვე ურნებით, გარე განათებით და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ შუახევის მუნიციპალიტეტმა შეძლოს წელიწადის ოთხივე სეზონზე ტურისტების მიღება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სათხილამურო კურორტია გომარდული, რომელიც ზღვის დონიდან 1120 მეტრზე მდებარეობს. შუახევის ცენტრიდან 8 კილომეტრითაა დაშორებული, ბათუმიდან კი 65 კმ-ით. პირველი თოვლი გომარდულში დეკემბერში მოდის და მარტის ბოლომდე გრძელდება. თოვლის საფარის სიმაღლე ხშირად 2 მეტრამდეც აღწევს. კურორტ გომარდულზე დამსვენებლებს საშუალება ეძლევათ ისარგებლონ 300 მეტრი სიგრძის სასრიალო ტრასით და ხელის საბაგროთი. საჭიროების შემთხვევაში ადგილზე იქნება შესაძლებელი თხილამურებისა და სხვადასხვა აქსესუარების დაქირავება. სრილის გარდა, მოზრდილებსა და ბავშვებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა თამაშებსა და აქტივობებში. საკურორტო სოფელში ძირითადად პატარა ხის სახლები და საოჯახო ტიპის სასტუმროები განთავსდება.


მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსების აბსოლუტურ უმრავლესობას საოჯახო ტიპის სასტუმროები წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით 50-მდე საოჯახო სასტუმროა, სადაც 5-7 ნომერია. მათი უმრავლესობა ტურისტებს ადგილობრივ ტრადიციულ სამზარეულოსა და ფერმერული ტურიზმისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა აქტივობებს სთავაზობს.

2022 წელს ტურისტების საერთო რაოდენობა 6860 ადამიანს შეადგენდა, რაც 55,91%-ით აღემატებოდა 2021 წლის ტურისტების რაოდენობას. კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე 2019-2020 წლებში იყო მნიშვნელოვანი კლება. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 109 ადამიანს, ხოლო 2019 წელს 131 ადამიანს შეადგენდა. გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტში არ წარმოებს ტურიზმის ზუსტი აღრიცხვის სისტემა, აღნიშნული მონაცემები ეყრდნობა აჭარის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიერ ჩატარებულ სატელეფონო გამოკითხვას და აღნიშნულ სტატისტიკაში მოიაზრებიენ ტურისტები, რომლებმაც უშუალოდ შუახევში არსებული საოჯახო ტიპის სასტუმროების მომსახურებით ისარგებლეს.

გამომდინარე იქედან, რომ შუახევი მდებარეობს ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ მაგისტრალთან, რომელიც ასევე აკავშირებს ხულოს მუნიციპალიტეტს, დიდია ვიზიტორთა რაოდენობა, რომელიც


შუახვევის სხვადასხვა ტურისტულ ლოკაციებს სტუმრობენ, თუმცა მუნიციპალიტეტში არ რჩებიან. მუნიციპალიტეტის არსებული დაახლოებითი სტატისტიკის მიხედვით, მათი რაოდენობა ბოლო ორ წელიწადში 10 ათას ადამიანს შეადგენს.

დიაგრამა 26



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 27



წყარო: საქსტატი

ტურიზმის განვითარების ნაწილში მნიშვნელოვან ხელშეწყობს როლს თამაშობს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების საგრანტო კონკურსები. ამ მხრივ აღსანიშნავია სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა. 2022 წელს აღნიშნულ პროგრამაში შუახვევის მუნიციპალიტეტიდან 66 განაცხადი შევიდა, რომელთაგანაც 22 ბიზნეს გეგმის ეტაპზე გადავიდა, ხოლო 8 კი გაიმარჯვა. ბოლო სამ წელიწადში 15-მდე ტურისტული სერვისის მიმწოდებელი ობიექტები დაფინანსდა, რომელთა უმრავლესობაც ქალების ბიზნესია.

მნიშვნელოვანია ქალთა როლის გაზრდა ტურიზმის სექტორში. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს „სოფლად მცხოვრებ ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების პროგრამას“, რომელიც ქალი მეწარმეობის სტიმულირებასა და მხარდაჭერას ისახავს მიზნად. პროგრამის ფარგლებში 2020-2023 წლებში დაფინანსდა 20-მდე (სულ 17) ქალი მეწარმე, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იყო ტურიზმის სექტორთან და სოფლის მეურნეობასთან.

მუნიციპალიტეტში 4 მუზეუმი: ოლადაურის ეთნოგრაფიული მუზეუმი, საბელაშვილების ეთნოგრაფიული მუზეუმი, სელიმ ხიმშიაშვილის სახელობისა და კვიანიძეების მხარეთმცოდნეის მუზეუმები. მუზეუმში დაცულია აჭარისა და შუახევის ისტორიასთან დაკავშირებული ექსპონატები: არქეოლოგიური მასალა, შრომის იარაღები, ყოფითი და ეთნოგრაფიული მასალები, აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების ადგილობრივი ნაწარმი, რაიონის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური და ფოტომასალა.

ცხრილი 5. ვიზიტორთა სტატისტიკა მუზეუმებში

მუზეუმი	ვიზიტორთა რაოდენობა		
	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
ოლადაურის ეთნოგრაფიული მუზეუმი,	700	665	1035
საბელაშვილების ეთნოგრაფიული მუზეუმი,	980	912	357
სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმი	895	789	1857
კვიანიძეების მხარეთმცოდნეის მუზეუმები	980	912	1137

წყარო: მუნიციპალიტეტის მერია

1.2.3. სოფლის მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის წილი შუახევის მუნიციპალიტეტის მთელ ფართობის 3,4%-ს შეადგენს.

მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. მოსახლეობა განსაკუთრებით ჩართულია შემდეგ საქმიანობებში: მეკარტოფილეობა, მეხილეობა, მემარცვლეობა (სიმინდის მოყვანა), მევენახეობა, მეფუტკრეობა და მეცხოველეობა.

მუნიციპალიტეტის მდებარეობიდან და რელიეფიდან გამომდინარე კარგი რესურსია, ხელი შეეწყოს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებას და კულტურების მეტ მრავალფეროვნებას. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება ტურისტებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი გრძელი და მკაცრია, ზაფხული კი ცხელი და მშრალი. მუნიციპალიტეტი მდიდარია ეკოლოგიურად სუფთა წყაროს წყლებით, ჰაერით, ფლორითა და ფაუნით. მუნიციპალიტეტში მიწის საკმაოდ დიდი წილი ეთმობა მრავალწლოვანი კულტურების მოყვანას, როგორც ხეხილოვან კულტურებს, ისე მცირე რაოდენობით კენკრას. აღსანიშნავია, რომ უფრო და უფრო ძლიერდება მეთხილეობა.

სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება, ასევე მწირე ცოდნა და გამოცდილება დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის და ფონდების მოძიების თაობაზე.

ცხრილი 6. მუნიციპალიტეტში მრავალწლოვანი კულტურების ფართობები და მოსავლიანობა

2022 წელი	სულ

№	მრავალწლოვანი კულტურები	ბაღების ფართობი (ჰა)	ძირების რაოდენობა	სავარაუდო მოსავალი (ტ)
კურკოვან-თესლოვანი				
1	ვაშლი	80,90	24270,00	864,45
2	მსხალი	71,30	21365,00	704,33
3	ატამი	0,61	206,00	4,88
4	ბალი/ალუბალი	14,19	4941,00	56,84
5	ქლიავი	27,50	11001,00	411,45
6	ტყემალი	32,85	13138,00	524,80
კაკლოვანი				
7	თხილი	76,31	37955,00	68,73
8	კაკალი	95,58	11466,00	67,43
კენკროვანი				
9	მოცვი	0,02	70,00	0,12
10	ქოლო	2,24	7750,00	3,14
11	მაყვალა	0,18	216,00	300,24
სულ		401,68	132378,00	3006,41

ერთწლოვანი კულტურებიდან ძირითადად იწარმოება სიმინდი, კარტოფილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული. მეცხოველეობას თითქმის ყველა ოჯახური მეურნეობა მისდევს, თუმცა მეტად საკუთარი მოხმარებისთვის, ვიდრე ბაზარზე სარეალიზაციოდ. უნდა აღინიშნოს, რომ მიწის რესურსი იძლევა დარგის უფრო მეტად განვითარების საშუალებას. განვითარების კარგი პოტენციალი გააჩნია მეფუტკრეობას (იხ. დანართი 1.)

მუნიციპალიტეტში განვითარებულია მეცხოველეობა. მუნიციპალიტეტის მდინარეები პერსპექტიულია თევზსამენი მეურნეობის განვითარებისათვის, სწორი სტრატეგიული მიდგომის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შემთხვევაში შესაძლებელია თევზსამენი მეურნეობების შექმნა (იხ. დანართი 2).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 62% (36420 ჰექტარი) უჭირავს ტყეს. 1619 ჰექტარი (3%) ბუჩქნარს, სხვა დანარჩენი (11%) 6400 ჰექტარი ჭაობებს, ხეებს, ხრამებს, შენობა-ნაგებობებისა და გზების ქვეშ არსებულ მიწებს.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწა სულ 14480 ჰექტარია, აქედან კერძო საკუთრებაა 3536 ჰექტარი, სახელმწიფო - 10944 ჰექტარი. მათ შორის სახნავი მიწა 1643 ჰექტარია (სრულად კერძო), სათიბი - 2287 ჰექტარი, აქედან კერძო 1942 ჰექტარი, 345 ჰექტარი - სახელმწიფოს საკუთრებაა; საძოვარია 10513 ჰექტარია (სახელმწიფო საკუთრება). მრავალწლიანი ნარგავების ფართობი 37 ჰექტარია (კერძო საკუთრება). სოფლის მეურნეობების რაოდენობა და მათ სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, მიწათსარგებლობის ფორმებისა და რეგიონების მიხედვით ინფორმაცია ხელმისაწვდომია რეგიონულ ჟრილში (იხ. დანართი 3).

მუნიციპალიტეტში მოქმედებს საჩითილე მეურნეობა - დაბა შუახევში, ვაზის სანერგე მეურნეობა - ახალდაბაში, ხოლო ხეხილის სანერგე მეურნეობა – ქიძინიძეებში. ადგილობრივები სარგებლობენ ვეტერინარული კლინიკის მომსახურებით. ფერმერებს გადაეცათ უფასოდ სასოფლო-სამეურნეო

კულტურებისა და თამბაქოს ჩითილები, ისარგებლეს აგრო-ბარათებით, სახელმწიფო დახვნის და სხვა პროგრამებით.

მათ შორის აჭარის სოფლის მეურნეობის პროგრამებით ისარგებლა 108 მოქალაქემ, დაიხნა 165 ჰა მიწის ნაკვეთი; გაიცა 20, 375 ცალი ჩითილი (4 652 ლარი). ამასთან სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში თანადაფინანსებული იყო ორი ბენეფიციარი შუახევის მუნიციპალიტეტიდან (იხ. დანართი 4). ასევე აღსანიშნავია, რომ „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში შუახევის მუნიციპალიტეტში ისარგებლეს ფერმერებმა (იხ. დანართი 5).

1.3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

განხორციელებული პროექტები

ინფრასტრუქტურის განვითარება კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს, რომელიც ბევრ მიმართულებებს აერთიანებს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საჭიროებებიდან გამომდინარე, ბოლო წლებში, არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

9 ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში რეაბილიტირდა სოფლის გზები, შიდა სასოფლო გზებზე მოეწყო ბეტონის და ასფალტის საფარი, ბეტონის სანიაღვრე არხები, კეთილმოეწყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული, სოფლების ცენტრები და სოფლის სახლები. ბოლო წლებში აშენდა 7 ახალი საბავშვო ბაღი, ხოლო რეაბილიტირდა რამდენიმე საბავშვო ბაღს, დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი. ზამთრის პერიოდში დიდთოვლობისას იწმინდება გზის საფარი. განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაბა შუახევში კულტურის სახლის რეაბილიტაცია და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მშენებლობა, ასევე დაბის ცენტრის და მიმდებარე ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა გარე განათების, წყლის სისტემისა და სოფლის სახლების რეაბილიტაციის, საპიკნიკე ადგილების მოწყობის, მთების ელექტროფიკაციის და სხვა მნიშვნელოვანი პროექტები.

საავტომობილო გზები

შუახევის მუნიციპალიტეტზე გადის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებიდან შუახევის მუნიციპალიტეტში გადის: „ბათუმი(ანგისა)–ახალციხის“ გზის მონაკვეთი (სიგრძე 29,5 კმ); შიდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რაოდენობა შეადგენს მუნიციპალიტეტის მამულებით 930 კილომეტრს. აღნიშნული შიდა საუბნო გზების 60% რეაბილიტირებულია, 2023 და შემდგომ წლებში აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოწყობაზე. მუნიციპალიტეტის შიდა საუბნო გზების ძირითადი ნაწილი მოწყობილია ბეტონის საფარით, მუნიციპალიტეტში არსებული 9 ადმინისტრაციულ ერთეულიდან მისასვლელი გზა ასფალტირებულია 8 ადმინისტრაციულ ერთეულში, გარდა წყალსაფარის ადმინისტრაციული ერთეულისა. მუნიციპალიტეტში მყარსაფარიანი გზის საერთო სიგრძე 92,5 კილომეტრია, ხოლო მეორეხარისხოვანი გზების (გრუნტით დაფარული გზა) სიგრძე 1344,85 მეტრია.

გარე განათება

გარე განათების ქსელი მოწყობილია დაბა შუახევის ყველა ქუჩაზე, 65% მოწყობილია გარე განათების ქსელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში დაგეგმილია ახალი LED ტიპის გარე განათების მოწყობა. ამჟამად სანათების რაოდენობა და ლედ ნათურების რაოდენობა 10 900-ია. დაგეგმილია გარე განათების სისტემის ელექტრომომარაგებისთვის მზის ენერჯის გამოყენება.

წყალმომარაგება

აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების მართვა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული შპს-ებისა და ა(ა)იპ-ების მმართველობის სფეროში შედის. კერძოდ, შუახევის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია ა(ა)იპ „შუახევის მუნიციპალური სერვისების სააგენტო“, რაც შეეხება წყალზე ხელმისაწვდომობას, დაბისა და სოფლების ნაწილში არის მოწყობილი წყლის სისტემა, თუმცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მაინც სარგებლობს სოფლის წყაროებით. სრული წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია დაბა შუახევი და სოფლები: ხიჭაური, ნაღვარევი, კარაპეტი, დღვანი, ჩანჩხალო და ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლები (ნიგაზუული, ფურტიო, ნენია, ბუთურაული).

სასმელი წყლის სისტემის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის უკეთესი წყალმომარაგების მიზნით 2023 წელს 999 971 ლარი დაიხარჯა, განხორციელდა 10-ზე მეტი პროექტი. გამართული წყალმომარაგების სისტემით ისარგებლებს 1000-ზე მეტი ადგილობრივი. დასრულდა ნიგაზუულსა

(სურაულას უბანი) და მთა ჩირუხში წყლის გამანაწილებელი აუზების მშენებლობა, წყალმომარაგების სისტემები მოეწყო სოფლებში კარაპეტში, ტაკიძეებში, ჯაბნიძეებში, გუნდაურში, ფურტიოში (მანარაშვილების და ბარის უბანში), მაწყვალთაში, ლაკლაკეთში და პაპოშვილებში, ასევე მთა ღომაზე და მთა შედრეკილში. 2024 წელს დაგეგმილია პაპოშვილების (გორის) და რამდენიმე სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

წყალმომარაგების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით შპს „აჭარის წყლის ალიანსი“ იწყებს დაბაში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ახალი სამელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოების ჩატარებას, რომლის ღირებულება დაახლოებით შეადგენს 7 მილიონ ევროს. კერძოდ, გათვალისწინებულია ცენტრალიზებული წყალმომარაგებისა და დეცენტრალური ტიპის წყალარინების (სუპტიკური ავზები) სისტემების შექმნა სოფლებში: გომარდული, სხეფი, სხეფელა, ღორქეთი, თერნალი, ვარჯანაული, წანკალაური, ჭალა, წყაროთა, ბრილი, ზემო ხევი, ბარათაული, კვიახიძეები, გოგაძეები, ტბეთი და ჟანივრი.

საკანალიზაციო სისტემა მოწყობილია მხოლოდ მუნიციპალიტეტის ცენტრში და ხიჭაურში, რომელზეც დაერთებულია რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი და სხვადასხვა ობიექტი. წყლის გამწმენდი რეზერვუალი ორსაფეხურიანი გადამღვრელით მოწყობილია დაბა შუახევში და ხიჭაურში (მარტივი სტილით), სულ 7 ცალი.

წყალმომარაგების სისტემაში ჩართულია 3025 აბონენტი, აქედან 2900 ფიზიკური პირია, ხოლო 125 - კომერციული, საკანალიზაციო სისტემაში კი ჩართულია 1265 კომლი.

ტრანსპორტი

მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო სკოლის მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უფასო ტრანსპორტის მომსახურებით.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება საზოგადოებრივი ტრანსპორტი. სოფლებიდან დადის სამარშრუტო ტაქსები ბათუმის მიმართულებით, თუმცა მიგრაციისა და მგზავრთა ნაკადის შემცირების გამო ცალკეული სოფლებიდან საერთოდ არ მოძრაობს ბათუმის მიმართულებით მიკროავტობუსები ან პერიოდულად (კვირაში ორჯერ ან სამჯერ) ხდება მგზავრთა გადაყვანა.

სხვა კომუნალური ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტი არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით. თუმცა, დღეის მდგომარეობით, დასრულებულია ბუნებრივი აირის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები, დაბასა და მის მიმდებარე სოფლებში მიმდინარეობს შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, რაც იმის პირობაა, რომ უმოკლეს ვადებში ხიჭაური, დაბა შუახევი და მის მიმდებარე სოფლები უზრუნველყოფილი იქნებიან ბუნებრივი აირით, თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება სხვა სოფლების ბუნებრივი აირით მომარაგება.

შუახევის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, ელექტროენერჯის მიწოდებას უზრუნველყოფს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“. ელექტროენერჯის მიწოდების ხდება 24-საათიანი გრაფიკით, მუნიციპალიტეტი თითქმის სრულად არის ელექტროფიცირებული, გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე მთიანი იალადი.

ბოლო წლებში, შიდა ელექტროგადამცემი ქსელი მოეწყო 10-ზე მეტ საზაფხულო იალადზე, დაიხარჯა 3 000 000 ლარზე მეტი. პროექტი განხორციელდა თაგინურის, მერიაყელის, კატრიანის, გრძელგორის, ყავრიანის, კერჩხიანის, ნაყორვალას, ნაფოცხვარას, ხარიათაღის, მთაპატარას, შუაიელიას, ჯვარიმინდორის, ტყისველას, მაწყვალთის და სხვა სამთო იალადებზე. 2022 წელს სამუშაოები დასრულდა ღომას მთაში. ჩირუხის, კიკიბოსა და შუაიელას მთებში კი მიმდინარეობს. პროექტებზე 1 500 000 ლარამდე დაიხარჯება. რეაბილიტაცია ჩატარდა ასევე ჯანჯღნარში არსებულ მინი-ჰესს. მიმდინარეობს სანალიას მთის ელექტროფიკაცია.

შუახევის მუნიციპალიტეტში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 5 020 აბონენტი ჰყავს, მათ შორის 4 892 ფიზიკური პირი, ხოლო 128 კორპორატიული. ყველა აბონენტი გამრიცხველიანებულია.

შუახევის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სარგებლობს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიების შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტის“ და შპს „სელფი მობაილის“ მომსახურებით. მობილური

კავშირით დაფარულია მუნიციპალიტეტის დიდი ნაწილი. მოსახლეობის მცირე ნაწილი სარგებლობს შპს „მაგთიკომის“, სს „სილქნეტის“, „სქაიტელის“, შპს „ანეტის“ ინტერნეტით.

2020 წელს იაპონიის საელჩოს, ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო კონკურსის ფარგლებში შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტი „ჩვენ და სუფთა გარემო“ გამარჯვებული გახდა. საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით მუნიციპალიტეტმა ერთი ერთეული ნაგავშენი შეიძინა. ტექნიკასთან ერთად, მერიამ 45 ერთეული ნაგავშენი კონტეინერი შეიძინა, რომელიც დაბაში და ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსდა.

დასასვენებელი სივრცეები

მუნიციპალიტეტის დაბასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწყობილი დასასვენებელი სივრცეების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შექმნილია კომფორტული გარემო მოსახლეობისა და სტუმრების დასვენებისა და გართობისთვის. სოფლებში მოწყობილია 2008 წლის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალები.

2023 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებშიც 628 ათასი ლარი დაიხარჯა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოსაწყობად, სულ 74 ობიექტი რეაბილიტირდა.

1.3. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, მომსახურების ხარისხის ამაღლება და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება წარმოადგენს მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს აქვს საჭიროებებზე მორგებული პროგრამები, რომელებიც უმეტესად ითვალისწინებს იმ სამედიცინო მომსახურებებს, რაც არ არის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული. მუნიციპალური და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების ერთობლიობა მაქსიმალური ხელშეწყობაა იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთაც აქვთ გარკვეული პრობლემები.

მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია ისეთი (ენდემური) დაავადებები როგორცაა: იოდის დეფიციტით გამოწვეული ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს ჯანდაცვის სხვადასხვა სახის მუნიციპალური პროგრამით (იხ. დანართი 6).

შუახევის მუნიციპალიტეტის 9 ადმინისტრაციულ ერთეულში (თემში) მოქმედებს 12 ამბულატორია, გადამზადებული შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კადრებით. ასევე არის 3 კერძო სტომატოლოგიური კაბინეტი. მუნიციპალიტეტს ემსახურება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა 2 ერთეული სპეციალური ავტომობილით. მოქმედებს რაიონული ჰოსპიტალი, რომელიც „სამედიცინო კორპორაცია ევექსში“ შემავალი ჰოსპიტალია (2011 წლიდან). ჰოსპიტალი 24-საათიან რეჟიმში უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას. ჰოსპიტალში დასაქმებულია 3 ქირურგი, 1 თერაპევტი, 2 ნევროლოგი, 1 პედიატრი, 1 რადიოლოგი, 1 რეანიმატოლოგი და 1 ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი. დასაქმებულია 19 ექთანი, 8 დამლაგებელი და ადმინისტრაციის 8 პირი.

მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე არის მოთხოვნა კარდიოლოგის, ენდოკრილოგის, ოკულისტის, უროლოგის, კარდიო-ექოსკოპიის სპეციალისტებზე, რადგან ამ მიმართულებით ჰოსპიტალი ვერ უწევს მომსახურებას სპეციალისტების სიმცირის გამო. ჰოსპიტალში ასევე არ მოქმედებს სამშობიარო ბლოკი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არსებული ამბულატორიების ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია. ადგილობრივი ხელისუფლება ვერ ახერხებდა მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ფინანსური

რესურსების სიმცირის გამო. 2022 წლიდან ამბულატორიები გადავიდა ჰოლდინგის მართვაში, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტებზე კეთილმოწყობას და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვას. ხოლო ამბულატორიის ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფას ახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ შუახევის სოციალური მომსახურების სერვის ცენტრი.

სოციალური მომსახურება

შუახევის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს სხვადასხვა სახის სოციალურ დახმარებებს. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სოციალურ პროგრამებს ავსებს საჭიროებების შესაბამისად.

შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სარგებლობს სხვადასხვა სახის მუნიციპალური სოციალური პროგრამებით (იხ. დანართი 7).

აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები, რათა არსებული პროგრამების მიზნობრიობის ხარისხი გაიზარდოს და აგრეთვე შეიქმნას ის ახალი სოციალური პროგრამები, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფების არამარტო ფინანსურ შესაძლებლობებს გაზრდის, არამედ მათი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მეტ შესაძლებლობებს შექმნის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლის პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის სოციალური საჭიროების მქონე პირები/ჯგუფები მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ვინაიდან ყველაზე კარგად თავად იციან მათი პრობლემები.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები მორგებულია სოციალურად დაუცველი, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირები, ბავშვიანი ოჯახები და ა.შ.) და ჯანმრთელობის მქონე პირთა საჭიროებებზე. აღნიშნული პროგრამები ითვალისწინებს, როგორც ფინანსურ დახმარების გაწევას, ასევე საჭირო მომსახურებების უზრუნველყოფას.

შუახევის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების ბიუჯეტი ყოველწლიურად მზარდია, რაც გვაძლევს შესაძლებლობას ახალი პროგრამების შექმნისათვის. მომავალ წლებშიც მუნიციპალიტეტი გააგრძელებს ამ მიმართულებით ბიუჯეტის ზრდას. შესაბამისად გაიზრდება სოციალური პროგრამების დაფინანსებაც, რაც უზრუნველყოს უფრო მეტი სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებას და ხელს შეუწყობს მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების გაძლიერებას.

2022 წლის 15 აგვისტოდან ა(ა)იპ ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“, „ასოციაცია ანიკას“-თან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს შშმ პირთა და ხანდაზმულთა პერსონალური ასისტენტისა და შინმოვლის საპილოტე პროგრამას, რომელიც საწყის ეტაპზე 25 შშმ პირისა და ხანდაზმულისთვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და ფუნქციონირებაში ხელშეწყობასა და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებს მომსახურებას უწევს 12 გადამზადებული სპეციალისტი.

2023 წლიდან შუახევის მუნიციპალიტეტის მერია პროგრამის 30%-იანი თანადაფინანსებელია და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 106600 ლარია გათვალისწინებული.

სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა შუახევის მუნიციპალიტეტში 2017 წლიდან 2023 წლამდე გაზრდილია 14 %-ით (190 ბენეფიციარით).

ცხრილი 7. სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა

წელი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
სოციალური პაკეტის მიმღები (ათასი)	1 360	1 335	1 358	1 371	1391	1 473	1550

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

მოცემული დროის მონაკვეთში პენსიის მიმღებთა რაოდენობა გაიზარდა 2.7 %-ით (78 პენსიონერთი).

ცხრილი 8. სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა

წელი	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
პენსიონერთა რაოდენობა	2953	2982	3001	2999	2998	2994	3031

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

საარსებო შემწეობის მისაღებად სოციალური მომსახურების სააგენტოში დარეგისტრირებულია 11 739 ფიზიკური პირი, 3020 ოჯახი (აქედან საარსებო შემწეობის მიმღები არის 832 ოჯახი, 2 854 პირი).

მარტოხელა მშობლის სტატუსი აქვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 33 პირს, რომელთაგან 27 მარტოხელა დედაა, ხოლო 5 - მარტოხელა მამა.

2023 წლისთვის 59 მრავალშვილიანი ოჯახია, ეს მონაცემი წინა წლებთან შედარებით მცირედით არის გაზრდილი.

2019 წლიდან შუახვეში შშმ პირთა დღის ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც „იმედი ჰანდიკაპთან“ პარტნიორობით გაიხსნა, შშმ პირებისთვის ადაპტირებული მიკროავტობუსითა და სხვადასხვა სახის რესურსებით აღიჭურვა. ცენტრში ამ ეტაპზე 0-18 წლამდე 15 ბენეფიციარი ირიცხება. ცენტრში დასაქმებულია 13 ადამიანი. დღის ცენტრი უზრუნველყოფს ბენეფიციარების ტრანსპორტირებას და ორჯერად კვებას. დღის განმავლობაში ბენეფიციარები ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. ბენეფიციართან მუშაობენ სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები, როგორცაა ოკუპაციური თერაპია, მეტყველების თერაპია და სხვ.

ცხრილი 9. შშმ პირთა სტატისტიკა

0-18 წლამდე შშმ პირი	მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე პირი		ზომიერად გამოხატული ხარისხის მქონე პირი		სულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	მარჩენალ დაკარგული ოჯახის წევრი
	გამოხატული ხარისხის მქონე პირი	მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხის მქონე პირი	გამოხატული ხარისხის მქონე პირი	შშმ პირი		
67	392	813	65	1337	68	

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ბავშვის უფლებების დაცვის“ შესახებ, რომლის მიზანია სოციალურ მუშაკთა ქსელის შექმნა სხვადასხვა ინსტიტუციებში, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობებში. 2022 წელს შუახვევის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურის რეორგანიზაციის შემდეგ, ამავე სამსახურში ჩამოყალიბდა ბავშვის უფლებათა დაცვის განყოფილება, რომლის მიზანია ძალადობის პრევენცია, ბავშვის უფლებათა დაცვა, კეთილდღეობა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფა. განყოფილება, კანონმდებლობის შესაბამისად, დაკომპლექტებულია გადამზადებული კვალიფიციური სპეციალისტებით.

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა ოჯახებისთვის შუახვევის მუნიციპალიტეტის მერია შესაძლებლობების ფარგლებში მუდმივად ზრუნავს უსახლკაროდ დარჩენილთა ან/და საფრთხის შემცველ გარემოში მყოფი ოჯახების დროებით უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფისათვის. მართალია, მუნიციპალიტეტს ამ მიზნით პროგრამა არა აქვს შექმნილი, მაგრამ მერია სარეზერვო ფონდიდან უზრუნველყოფს ქირით უსაფრთხო საცხოვრებელში მათ გადაყვანას. ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროსთან აქტიური

თანამშრომლობითა და ხელშეწყობით სტიქიით დაზარალებული ოჯახების „ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის“ თანადაფინანსების პროგრამაში ერთვებიან ის ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი და გარემო პირობები შესწავლილია გეოლოგიური სამსახურის სპეციალისტების მიერ და შეფასებულია, როგორც ადგილმონაცვლე ოჯახი, ანუ იმ ტერიტორიაზე ცხოვრება საფრთხის შემცველია და საჭიროა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება.

1.4. განათლება, კულტურა და სპორტი

განათლებაზე ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის მხოლოდ საშუალო და სკოლამდელი, კულტურისა და სპორტის სფეროს დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა საჭიროა სკოლამდელი საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში.

რესურსცენტრთან თანამშრომლობითა და მერიის დაფინანსებით ჩატარდა საჯარო სკოლების დირექტორების და ადმინისტრაციის წევრების პირველი მუნიციპალური კონფერენცია და მასწავლებელთა მეოთხე მუნიციპალური კონფერენცია.

ადრეული და სკოლამდელი განათლება

შუახვევის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის 465 ბავშვია (გოგო 193 და ბიჭი 204), მათ შორის 25 ბაგის, ხოლო 440 ბაღის აღსაზრდელია), მოქმედებს 14 სკოლამდელი ბაგა-ბაღი, 9 ალტერნატიული ბაღი, რომელშიც დასაქმებულია 39 პედაგოგი (მათ შორის 24 უმაღლესი განათლებით) და 14 ფსიქოლოგი (მათ შორის 1 უმაღლესი განათლებით). ა(ა)იპ შუახვევის ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი. ბაგა-ბაღების გაერთიანება წლიურად ფინანსდება 1551460 ლარით, ამ თანხიდან 295 ათასი ლარი გამიზნულია ბავშვთა კვებით უზრუნველყოფაზე. 2023 წლისათვის გაიხსნება დღვანის ბაგა-ბაღი 25 აღსაზრდელზე. უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ნენის საბავშვო ბაღის მშენებლობა 25 ბავშვზე. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა (14 საბავშვო ბაღი და 9 ალტერნატიული ბაღი) ზოგადი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ახლად აშენებულ და დაბის ტერიტორიაზე არსებული ბაღებია აღჭურვილი ახალი ინვენტარით. თუმცა, ყველა სოფელს არ აქვს საშუალება ისარგებლოს საბავშვო ბაღების მომსახურებით.

სრული ზოგადი განათლება

შუახვევის მუნიციპალიტეტში 44 სკოლაა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის), მოსწავლეთა რაოდენობა 1443-ს შეადგენს, მათ შორის გოგო - 646, ბიჭი - 695. ხიჭაურში ფუნქციონირებს გრიგოლ ხანძთელის სახელობის კერძო სკოლა. მუნიციპალიტეტის სკოლებში დასაქმებულია 1048 ადამიანი: ქალი - 581, კაცი - 456, მათ შორის 719 პედაგოგია, ქალი - 400, კაცი - 319 (უფროსი 412 ; 74 წამყვანი, 8 მენტორი და დანარჩენი მასწავლებლობის მაძიებელი). 2017-2022 წლებში აშენდა 6 საჯარო სკოლის შენობა. 10-მდე სკოლაში მიმდინარეობს კაპიტალური და ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოები. დაბა შუახვევის საჯარო სკოლის ახალი შენობა შენდება. შესყიდულია დარჩიძეების საჯარო სკოლის სამშენებლო პროექტი, რომლის მშენებლობაც 2024 წლიდან დაიწყება. ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში 300-ზე მეტი შუახვევის სკოლების კურსდამთავრებული სწავლობს.

პროფესიული განათლება

მუნიციპალიტეტში მოქმედებს სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ს შუახვევის ფილიალი, სადაც დასაბამებულია 7 ადამიანი, აქედან ქალი - 4, კაცი - 3, 9 მასწავლებელი, მათ შორის კაცი - 8, ქალი - 1, 2020-2022 წლებში კოლეჯმა არაფორმალური და ფორმალური განათლების ხელშეწყობი პროგრამები განახორციელა, როგორც არის ელექტროობა, შედუღება, საოჯახო სასტუმროს მომსახურების სერვისი, გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები და დიპლომები. 2022-2023 სასწავლო წლებში, კოლეჯში 70 მსმენელი ირიცხებოდა.

დაგეგმილია მოკლევადიანი მომზადების სასერტიფიკატო პროგრამები, როგორც არის: „ხელით-ელექტრორკალური შედუღება“ (გაიცემა სერტიფიკატი), „ლითონების შედუღება ინერტულ აირში (არგონში)“ (გაიცემა სერტიფიკატი), „კერძების მომზადების ტექნოლოგია“ (გაიცემა სერტიფიკატი), ასევე სამომავლოდ იგეგმება კულინარიის ხელოვნებისა და რომელიმე ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება.

უმაღლესი განათლება

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელშიც მოქმედებს საბაკალავრო (საჯარო მმართველობა, ბიზნესის ადმინისტრირება, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოლოგია, ჟურნალისტიკა, მათემატიკა, აგრარული მეცნიერებანი), სამაგისტრო (საჯარო მმართველობა, ბიზნესის ადმინისტრირება, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოლოგია, ჟურნალისტიკა, მათემატიკა, აგრარული მეცნიერებანი, ქართული ენათმეცნიერება, არქეოლოგია), მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული პროგრამები (საექთნო განათლება, ბუღალტრული აღრიცხვა, სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულების აღმზრდელი).

კულტურა და სპორტი

კულტურა

მუნიციპალიტეტში მოქმედებს ა(ა)იპ შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლა, რომელიც სკოლის ასაკის ბავშვებს მუსიკალურ განათლებას აძლევს. ამჟამად სკოლაში 65 მოსწავლე ირიცხება, მათ შორის საფორტეპიანო განყოფილებაზე 47 მოსწავლე, ხოლო ხალხური საკრავების განყოფილებაზე 18 მოსწავლე. სკოლის ფილიალები არის სოფლებში: უჩამბა, ნენია, ბუთურაული, დაბაძველი, ხიჭაური და ხაბელაშვილები (იხ. დანართი 8).

საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სკოლის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობა. ხელოვნებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლის ანსამბლები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში და კონკურსებში. 2022 წლის ოქტომბერში სკოლის გუნდმა წარმატებით გადალახა საქართველოს ახალგაზრდული კოლექტივების VI ეროვნული კონკურსის ორივე ტური და მიიღო ლაურეატის წოდება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებაში ფუნქციონირებს სახვითი ხელოვნების, მხატვრული კითხვის, ქორეოგრაფიის, ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, მხარეთმცოდნეობის, თეატრალური დასის, სალოტბარო, ხალხური ინსტრუმენტების დამზადების და გიტარის შემსწავლელი წრე.

შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლის ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდული მუსიკალური ბენდი, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან საორკესტრო ინსტრუმენტებს (დრამი, ელ.გიტარა, ბას.გიტარა, საქსაფონი, საყვირი, ტრომბონი, ბარიტონი, კლავიშებიანი ინსტრუმენტი).

ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრში დასაქმებულია 132 თანამშრომელი (ქალი- 45, კაცი-87). ადმინისტრაციაში მუშაობს 12 პირი. მოქმედებს 3 (ფოლკლორის, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო) განყოფილება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 1 ცენტრალური და 7 სასოფლო ბიბლიოთეკა; 2 ქორეოგრაფიული ანსამბლი („ფესვები“, „ზეკართან“ 20-20 წევრით), 4 ფოლკლორული ანსამბლი („ნაი“-10 წევრი; „მარეთი“-11 წევრი; „შუახევი“-15 წევრი; „ჭვანა“- 13 წევრი.) მუნიციპალიტეტში 4 მუზეუმი (ოლადაურის, ნიგაზულის, კვიახიძეების, ხაბელაშვილების).

მიმდინარეობს კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც დასრულების შემდეგ აღიჭურვება ახალი ინვენტარითა და აპარატურით. პერიოდულად მიმდინარეობს ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის შევსება.

ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში.

სპორტი

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს სპორტის სფეროში წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის ფულადი წახალისების პროგრამა. წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობის მიზნით სპორტის სხვადასხვა სახეობაში. წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის 2022 წელს გაიცა ფულადი ჯილდო, სულ - 18 771 ლარი. 2021 წელთან შედარებით ამ მიმართულებით ბიუჯეტი 8 000 ლარით გაიზარდა (10 750 ლარი, 2021 წელს).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტში დასაქმებული 21 მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს. ეს პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

2023 წელს დაბა შუახევში ახალი 500 მაყურებელზე გათვლილი, FIFA-ს სტანდარტების საფეხბურთო მოედანი გაიხსნა. ობიექტთან აშენდა ერთსართულიანი შენობა გასახლელებისა და საშხაპებისთვის. მოეწყო პარკინგი, საგანგებოდ შშმ პირებისთვის ტრიბუნებთან მოეწყო პანდუსი და სამდონიანი ტერასა. სამუშაოებს აჭარის პროექტების მართვის კომპანია ასრულებდა.

სოფელ ფურტიოს სარაგბო სტადიონის მოწყობისთვის საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს, მშენებლობა 2024 წლიდან დაიწყება. ასევე, დაგეგმილია საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის მშენებლობაც, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში უმასპინძლებს ბავშვებს, როგორც საქართველოს ყველა კუთხიდან, ასევე სხვადასხვა ქვეყნებიდან.

2022 წელს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, სამშენებლო სამუშაოები დასრულდა ქიძინიძეებისა და ბარათაულის სპორტულ მოედნებზე, სამუშაოები მიმდინარეობს ჩირუხისა და ღომას სპორტულ მოედნებზე. სულ მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული მოედნების შესახებ ინფორმაციისთვის იხ. დანართი 8.

2023 წლისთვის დაგეგმილია მაწყვალთის, ნიგაზულის, გომარდულისა და კვიახიძეების მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ა(ა) იპ შუახევის სპორტულ ცენტრში 45 ადამიანია დასაქმებული (ქალი - 7, კაცი-38). მათ შორის 27 მწვრთნელია, რომლებიც 26 სპორტულ სექციაში სკოლის ასაკის 412 ბავშვი და მოზარდი ვარჯიშობს (გოგო 92, ვაჟი-320).

ა(ა) იპ შუახევის სპორტულ ცენტრში მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები:

- ✓ თავისუფალი ჭიდაობის 3 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 25 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 20 ბენეფიციარი; 16-18 წლის ასაკობრივი ჯგუფის 10 ბენეფიციარი;
- ✓ ქართული ჭიდაობის 3 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 20 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 21 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 9 ბენეფიციარი;
- ✓ ფრენბურთის 3 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 21 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 18 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 13 ბენეფიციარი;
- ✓ მაგიდის ჩოგბურთის 2 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 13 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 9 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 8 ბენეფიციარი;
- ✓ სათხილამურო სპორტის 5 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 35 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 33 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 29 ბენეფიციარი;
- ✓ კალათბურთის 1 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 7 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 5 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 3 ბენეფიციარი;
- ✓ მძლეოსნობის 1 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 8 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 5 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 4 ბენეფიციარი;
- ✓ კრივის 1 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 9 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 5 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 3 ბენეფიციარი;
- ✓ ჭადრაკის 1 წრე - 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 8 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 4 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 5 ბენეფიციარი;
- ✓ ბერძნულ-რომაული ჭიდაობის 1 წრე: 6-11 წლის ასაკობრივი ჯგუფის 7 ბენეფიციარი; 12-15 წლის ასაკობრივი ჯგუფის 6 ბენეფიციარი; 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის 4 ბენეფიციარი.

მნიშვნელოვან მიმართულებებს წარმოადგენს რაგბისა და ფეხბურთის განვითარება.

- ✓ მოქმედებს რაგბის 4 ჯგუფი: ფურტიო -2, გომარდული, ბუთურაული 2 ჯგუფი. სპორტსმენტა რაოდენობა 55;
- ✓ ფეხბურთის 3 ჯგუფი: სპორტსმენტა რაოდენობა დაბა შუახევში 80, წყაროთა - 20, დარჩიძეები-20.

სპორტული წრეების ფუნქციონირებისათვის საჭიროა სპორტული ინვენტარის პერიოდული განახლება, რასაც მუნიციპალიტეტი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს, თუმცა ცხადია, საჭიროება კიდევ უფრო მეტია. ამჟამად სპორტულ ცენტს გააჩნია 28 თხილამური, რომელიც გამოყენებულია მოთხილამურეთა სწავლებისა და შეჯიბრებების დროს, დამატებით იგეგმება 10 თხილამურის შეძენა.

ახალგაზრდობა

საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის 2020-2030 კონცეფციის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა მაქსიმალურად ცდილობს ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობას, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობასა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

2019 წლიდან მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო, რომელიც მნიშვნელოვანი პლატფორმას წარმოადგენს თვითმმართველობასთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის. ამ ეტაპზე საბჭოს შემადგენლობაში 14-29 წლის ჩათვლით 22 ახალგაზრდაა (12 მდედრობითი სქესის, ხოლო 10 მამრობითი სქესის).

მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მოხალისეობრივი საქმიანობის კულტურის დანერგვა. ამ მიზნით, 2023 წელს შეიქმნა შუახევის მოხალისეთა კლუბი, რომელიც 14-29 წლის 50-მდე ახალგაზრდას აერთიანებს. კლუბის ფარგლებში შეგროვა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ნივთები, რომელიც კლუბის წევრებმა სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს დაურიგეს.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს „ახალგაზრდა კინომოყვარულთა კლუბი“, რომლის ფარგლებშიც წლის განმავლობაში სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებსა და სკოლებში ეწყობა ფილმების ჩვენება და განხილვა.

ადგილობრივ რესურსცენტრთან თანამშრომლობით შეიქმნა მხატვრული ლიტერატურისა და ინგლისური ენის მოყვარულთა კლუბი. გასულ წლებთან შედარებით, ბიუჯეტი დაახლოებით 16 000 ლარით გაიზარდა და შეადგენდა 24 000 ლარი (2019 წ. 8631 ლარი).

არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ფარგლებში პერიოდულად ტარდება მრავალფეროვანი ტრენინგ-სემინარები, ცნობიერების ასამაღლები აქტივობები და ლაშქრობები.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია სტუდენტებისთვის, რომლის ფარგლებში ყოველწლიურად ბაკალავრიატის საფეხურის ექვს სტუდენტზე გაიცემა 500 ლარი. 2022 წელს ფინანსურად წახალისდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სახელმწიფო გრანტის მქონე 8 სტუდენტი.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერითა და არასამთავრობო ორგანიზაცია „გადასხვაფერდი“-სთან ერთად მერია ახორციელებდა პროექტს „ისწავლე და ასწავლე სწორი არჩევანისთვის“, რომელიც მიზნად ისახავდა ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული არასწორი წარმოდგენებისა და დეზინფორმაციის გავრცელების ძირითადი ასპექტების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდასა და იმ ბენეფიტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რასაც ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს.

პროექტის ფარგლებში შუახევის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა გაიარეს სატრენინგო მოდული მედიაწიგნიერების, ევროკავშირის, ნატოს, ეფექტური კომუნიკაციისა და პრევენციის ტექნიკებზე. გაეცნენ გაცვლით პროგრამებს და უშუალოდ მოისმენეს საკუთარი გამოცდილების შესახებ იმ ახალგაზრდებისგან, რომლებმაც ისარგებლეს ან/და სარგებლობენ ევროკავშირის გაცვლითი პროგრამებით. პროექტში ჩართული იყო 50 ახალგაზრდა.

1.5. გარემოს დაცვა

შუახვევის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსების საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობაა კონცენტრირებული. ტყიანობის კოეფიციენტი 67%-ს აღემატება. ბოლო პერიოდი აქტიურად მიმდინარეობს ტყის რესურსის განახლება.

ცხრილი 10. ტყის ფართობი და სატყეო უბნების მონაცემები შუახვევის მუნიციპალიტეტში

ტყის ფართობი (ჰა)	სატყეო უბნების რაოდენობა	კვარტლების რაოდენობა სატყეო უბანში
39980,30	3	1 8 3

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივებია წარმოდგენილი. ყველაზე მეტად გავრცელებულია ნაძვი და წიფელი, აღნიშნულ სახეობებს ეფექტური გამოყენების შემთხვევაში მაღალი ეკონომიკური პოტენციალი გაჩნიათ.

ცხრილი 11. ტყის მერქნული რესურსები შუახვევის მუნიციპალიტეტში-სახეობები, ფართობები, მარაგი

სახეობა	ფართობი (ჰა)	მარაგი (მ ³)	ფართობი (%)	მარაგი (%)
წიწვოვანი:				
სოჭი	8 200	450 7300	20,85	32,30
ნაძვი	12 279	4 876 200	31,22	34,94
ფიჭვი	601	118 600	1,53	0,85
სულ წიწვოვანი	21 080	9 502 100	53,60	68,09
ფოთლოვანი:				
წიფელი	11 142	3 697 600	28,33	26,50
მუხა	2 707	303 900	6,88	2,18
რცხილა, ჯაგრცხილა	1 989	307 600	5,06	2,20
წაბლი, კაკალი	328	76 400	0,83	0,55
თხმელა	447	45 900	1,14	0,33
ბურქნარი	1 637	20 900	4,16	0,15
სულ ფოთლოვანი	18 250	4 452 300	46,40	31,91
სულ სახეობები	39 330	13 954 400	100,00	100,00

აჭარის ტყის მასივები (როგორც წიწვოვანი, ასევე ფოთლოვანი კორომები), მათ შორის შუახვევის მუნიციპალიტეტში, დაავადებულია სხვადასხვა მავნებლებით: წაბლის ქერქის კიბო (Criphtonectria

parasitica), ნადვის დიდი ლაფანჭამია (Dendroctonus micans), მბეჭდავი ქერქიჭამია (Ips typographus), კენწეროს ქერქიჭამია (Ips acuminatus), სიღამპლის გამომწვევი სოკოები-Phelinnus pini, Armillaria mellea (მანჭკვალა) და სხვა. დაავადებებს გააჩნიათ მრავალი კერა და გამოირჩევიან მაღალი ინტენსივობით.

შუახევში, ძირითადად, მთის ტიპის მდინარეებია (იხ. დანართი 10). რელიეფის ძლიერი დანაწევრების გამო მდინარეების სიგრძე მოკლეა და მათ მიერ დაკავებული აუზის ფართობი მცირე. მუნიციპალიტეტის არც ერთი მდინარე სათავეს არ იღებს მუდმივი მყინვარის და თოვლის ტერიტორიიდან. მდინარეები, უმეტესად, იკვებებიან მიწისქვეშა წყლების, წვიმის და თოვლის ნადნობი წყლებით, ამიტომაც მათ გაზაფხულსა და შემოდგომაზე წყალდიდობები ახასიათებთ. მდინარეები ხასიათდება დიდი ვარდნით, ჩქარი დინებით, ზოგიერთ მონაკვეთზე ისინი მიედინება ვიწრო და ღრმა ხეობებში, ქმნის ჭორომებს და ჩანჩქერებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა მნიშვნელოვანი მდინარე წარმოადგენს მდინარე აჭარისწყლის შენაკადს და ჩაედინება შავ ზღვაში.

მდინარე აჭარისწყალის დაბინძურებას იწვევს დაბა შუახევისა და მიმდებარე მჭიდროდ დასახლებული პუნქტების საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენებული წყლები. გამოყენებული წყლების დადგენილი წესით გაწმენდა არ ხდება, ისინი გაუწმენდავად ჩაედინებიან მდინარეში და აბინძურებენ მას. შუახევის მუნიციპალიტეტის მერია დაბა შუახევში „აჭარის წყლის ალიანსის“ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საკანალიზაციო ქსელის მოწყობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი დაბინძურების წყაროა მოსახლეობის მიერ მდინარეთა კალაპოტებში მოწყობილი თვითნებური ნაგავსაყრელები.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა სტიქიური პროცესების შესწავლას, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას. სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენების გააქტიურებაში მოქმედებს რამდენიმე ფაქტორი: კლიმატური, გეოლოგიური და ადამიანის სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული. ტერიტორიები წარმოადგენენ გორაკ-ბორცვიან რელიეფს. ტერიტორიების გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ შუა ეოცენის ასაკის ვულკანოგენური ტუფობრექჩიები, ბრექჩიები, ტუფები და სხვადასხვა წარმოშობის ვულკანოგენური წარმონაქმნები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გადაფარულია მეოთხეული ასაკის დელუვიური ნალექებით, თიხა-თიხნარებით და სხვადასხვა უხეშნატეხოვანი მასალების ჩანართებით, ხოლო მდინარეთა ხეობებში-ალუვიური ნალექებით.

ვულკანოგენური წარმონაქმნები უმეტეს შემთხვევაში ქიმიურად გამოფიტულია და ხასიათდებიან მკვეთრად დაქვეითებული ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობას ქმნის სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარებისათვის. ამ პროცესების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს ასევე რელიეფის მორფოლოგია. გრავიტაციული პროცესები (ჩამოქცევა, მეწყერი, ჩამოშლა) უმეტესად ვითარდება ციცაბო რელიეფის პირობებში, რომლის დახრის კუთხე 25%-ს აღემატება. ფერდობების მდგრადობისა და მეწყრული პროცესების განვითარების უმთავრესი კრიტერიუმი არის ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება ჭარბი ატმოსფერული ნალექებით. ქანების გაწყლიანება ხდება როგორც ზედაპირული, ასევე გრუნტის წყლებით, რომელთა დონეები მნიშვნელოვნად შეივსო ჩანაჟონი წყლებით. ფერდობების ამგები ქანების გაწყლიანება-გადამძიმებამ გამოიწვია ისედაც სუსტი სტატიკური წონასწორობის დარღვევა და გრავიტაციული პროცესების განვითარება. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული ფართობების უმეტესობა გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად, რაც დიდ ზეგავლენას ახდენს მეწყრული პროცესების აქტივიზაციაზე. საღრენაჟო არხები არ არის გაყვანილი სასოფლო გზების გასწვრივაც, რის გამოც წარმოქმნილი დვარცოფული ნაკადები მიედინებიან უსისტემოდ და ხელს უწყობენ გეოლოგიური პროცესების აქტივიზაციას.

2022 წელს 100-ზე მეტ ოჯახზე გაცემულია გეოლოგიური დასკვნა ადგილმონაცვლეობაზე. 107 ოჯახზე გაიცა დასკვნა საცხოვრებელი სახლების აღდგენა გამაგრების აუცილებლობაზე, ხოლო 12 საცხოვრებელი სახლი საჭიროებს დემონტაჟს.

ინფრასტრუქტურული ღონისძიებების აუცილებლობის (ფერდესამაგრი) ჩატარების მიზნით 273 ოჯახზე დაიდო დასკვნა ფერდესამაგრი კედლის მშენებლობაზე. 2023 წელს მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე ლოკაციაზე დაიხარჯა 1 020 410 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის 2022 წელს გახარჯულია 85685 ლარი. აქედან 48 000 ლარი დაიხარჯა ოჯახების ქირით უზრუნველყოფისთვის (ეკომიგრანტი და განსაკუთრებით საშიში სტიქიური მოვლენების მქონე ოჯახების დროებითი ქირით გაყვანა), ხოლო 37 000 ლარი გაიხარჯა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად, რაც გულისხმობს დიდთოვლობის და ძლიერი ქარბუქის შედეგად დაზიანებული ან დაზარალებული დამხმარე ნაგებობების მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ნარჩენების მართვა მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. სანდასუფთავების სერვის ხელმძღვანელობს შუახვევის მუნიციპალური სერვისების სააგენტო, ამ ეტაპზე ერთი ნაგავშიდი ავტომანქანა სამუშაო დღეებში ყოველდღიურად (მაბათ-კვირის გარდა) გადაადგილება მუნიციპალიტეტის სოფლებში. შეგროვებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადატანა ხდება ქალაქ ბათუმში სპეციალურ ნაგავსაყრელზე.

მოსახლეობის მიერ მოწყობილია ყოველგვარი სტანდარტების გარეშე მცირე ზომის ნაგავსაყრელები, რაც ანტისანიტარიის და სხვადასხვა დაავადების გავრცელების რისკს ზრდის.

1.6. მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, რომელიც შედგება 21 წევრისგან (აქედან 3 ქალი, 19 კაცი), ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის მერია, სადაც დასაქმებულია სულ - 108 პირი (აქედან 25 ქალი, 83 კაცი). მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა მათი საჭიროებიდან გამომდინარე მიმართონ თითოეულ მათგანს წერილობითი და პირისპირ შეხვედრის ფორმით.

შუახვევის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისთვის სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრი.

თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ გაიზარდოს საჯარო სერვისის ხელმისაწვდომობა. იგეგმება ისეთი სერვისების დანერგვა, რომელიც დაფარავს სხვადასხვა სეგმენტს და გაზრდის მოსახლეობისთვის მათი მიწოდების ხარისხს. მიმდინარეობს საჯარო დაწესებულებების ადაპტირების პროცესი, რომელიც სამომავლოდ სრულ ადაპტირებას გულისხმობს.

დაბა შუახვევი 2022 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტირების საპილოტე პროგრამა განხორციელდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში.


მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამამ, მოქალაქეებს საშუალება მისცა, თავად გადაეწყვიტათ, თუ რა პროექტის განხორციელება სურდათ დაბაში. პროგრამის ფარგლებში, სულ 10 იდეა დარეგისტრირდა. მათ შორის 2 ანალოგიური პროექტი იყო, რის გამოც, ავტორებმა, იდეა ერთ პროექტად აქციეს. ჯამში, დაბა შუახვევის მოქალაქეებმა 3 იდეიდან მათთვის სასურველი აირჩიეს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან პროგრამაზე 60 000 ლარი გამოიყო. მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის გამარჯვებული განდა გოგონათა ბენდი, რომელსაც შუახვევის მერიამ მუსიკალური ინსტრუმენტები შეიძინა, რომელიც გადაეცა სახელოვნებო სკოლას, სადაც დღეის მდგომარეობით არის კვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც ახდენს შესაბამისი განათლების მიღებას.

2023 წელს მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა და 70 000 ლარი შეადგინა.


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

შუახვევის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია ადგილობრივი



თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ, ასევე მომზადებულია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.


დიაგრამა 28




წყარო: მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი (დაზუსტებული) და 2024 წლის პროექტი.

აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელია 2024 წლის განმავლობაში გაიზრდება შუახვევის შემოსავლები. ქვემოთ მოცემულია დიაგრამა შუახვევის მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების გადასახდელების მაჩვენებლის შესახებ.

დიაგრამა 29



წყარო: მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი და 2024 წლის პროექტი
დიაგრამა 30



წყარო: მუნიციპალიტეტის მერია; 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი

SWOT ანალიზი

SWOT ანალიზი	
ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> • ავთენტური ტრადიციები და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; • ბუნებრივ ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნება; • უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა; • მაღალი ტურისტული პოტენციალის მქონე საკურორტო ზონების არსებობა; • შშმ პირთა ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებები და „დღის ცენტრის“ არსებობა; • მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> • სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სიმცირე; • მუნიციპალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არარსებობა; • სატელეკომუნიკაციო ქსელის არასრულყოფილი დაფარვა; • მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და დანაშოგების მცირე მოცულობა; • ადგილობრივი ეკონომიკური დარგების განვითარებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების/ცოდნის გამოყენების ნაკლებობა; • შიდა სასოფლო გზების გაუმართაობა; • სუსტად განვითარებული სამოქალაქო სექტორი და ადგილობრივი მედია; • ტურისტულ ბაზარზე მუნიციპალიტეტის პოზიციონირების, ცნობადობის გაზრდისა და ნიშის მოსაპოვებლად არასაკმარისი მარკეტინგული აქტივობები; • არადაპტირებული გარემო; • კვალიფიციური კადრების დეფიციტი; • ადგილობრივ რაიონულ ჰოსპიტალში სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • ტრადიციული, ავთენტური კულტურის წარმოჩენა/პოპულარიზაცია; • საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა; • ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მიზიდულობის ცენტრების შექმნა; • ტურიზმის სექტორის განვითარების დადებითი დინამიკა; • საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება და ღონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკის გაღრმავება; • დამეგობრებულ ქალაქებთან ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა; 	<ul style="list-style-type: none"> • წინვოვანი ტყის მასივის ხმობა; • ტყის ხანძრები; • ადამიანის ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი უპიდემიები; • მაღალი გეოლოგიური საფრთხე; • ბუნებრივი კატასტროფები; • მოსახლეობის მაღალი მიგრაცია;

- | | |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none">• ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მოთხოვნის და გასაღების ბაზრის არეალის ზრდა. | |
|---|--|

2. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

2.1. მუნიციპალიტეტის ხედვა

შუახვევის მუნიციპალიტეტი მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მიზიდულობის ცენტრია, სადაც უნიკალური ტურისტული პროდუქტები წელიწადის ოთხივე სეზონზეა ხელმისაწვდომი და უზრუნველყოფილია ტურისტული რესურსების ეფექტიანი მართვის და დაგეგმვის სისტემა, რომელიც ორიენტირებულია მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაზე, მუნიციპალიტეტში შექმნილია პირობები ადგილობრივი მოსახლეობის ღირსეულად ცხოვრების, დასაქმებისა და დასვენებისათვის. შუახვევის მუნიციპალიტეტში დამკვირდებულია ღია მთავრობაზე ორიენტირებული თვითმმართველობის მოდელი, ინკლუზიური, მოქალაქეებზე ორიენტირებული ადგილობრივი მმართველობა ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

2.2. მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული ხედვის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობას დასახული აქვს განვითარების 6 მიზანი და შესაბამისი ამოცანები:

მიზანი 1	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, კეთილმოწყობის უზრუნველყოფა და მელიორაციული სისტემების გაუმჯობესება
ამოცანა 1.1	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
ამოცანა 1.2	წყალმომარაგების სისტემების მოწყობა და სასმელი წყალით მოსახლეობის უზრუნველყოფა
ამოცანა 1.3	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების კეთილმოწყობა
ამოცანა 1.4	სარწყავი არხის, საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია
ამოცანა 1.5	გარე განათების სისტემის ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფა
მიზანი 2	გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა
ამოცანა 2.1	ნარჩენების შეგროვებისა და მუნიციპალური დასუფთავების ეფექტური სერვისის დანერგვა
ამოცანა 2.2	გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება
მიზანი 3	სოციალური დაცვის პროგრამებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
ამოცანა 3.1	მოწყვლადი ჯგუფებისთვის სერვისების მიწოდება მათი საჭიროებების გათვალისწინებით
